ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 საშაბათი, 15 მაისი № 1465

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНИ № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული ახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20ს21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ტფილისის ვერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

გადმოფენებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი დ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 სასთამდე.

მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრობით — 9—10 ს.

ნ. ს მულიხი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 11—12 სასთამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—12 სასთამდე.

ს. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბაგუშებისა 11—12 ს.

დ. ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 სასთამდე.

ე. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო 1—2 ს.

ვ. ლ. მარკეევიჩი — სალოსტაქრო — 12½—1½ სასთამდე, სამშაბათობით 3—4 სასთამდე.

ი. ლ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და სასქესო — 1½—2 სასთამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმახიშვილი — ლაბორატორიული — 5—6 სასთამდე.

ს. ს. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ფეთმეოფობანი) და მიკრო-ქიმიური კამკვლევანი. — 5—6 სასთზე.

გ. მალალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოდ.

ადრესი: კუბა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სვინიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წ.)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ წლის ~~ივნისის 9~~ დღესა, თავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1900 წლისა მოქმედებისა. 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ. 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის. 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. 5) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და 6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა. (3—1)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

გადაგიდა საკუთარ სახლში ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. (10—6—4)

მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყებაზე:

სამკურნალო დეპარტამენტის შტატს გარეშე მოსულ მკურნალი კოლეჟსკი ასესორი შ ე ნ გ ე ლ ა ძ ე დაინიშნა ს. პეტერბურგის მოწყალების სახლის მკურნალად.

ა ნ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ს ებოძა ვერცხლის მენდალი ყელზე სატარებლად ზედ წარწერით „გულ მოდგინეობისათვის“.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 14 მაისს, მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა **გვირგვინის კურთხევის დღეს**, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა, გორის ეპისკოპოსის კირიონისა და ქალაქის სამღვდელოების თანადასწრებით, გარდაიხადა წირვა და შემდეგ პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, კავკასიის ჯარის ორივე კორპუსის უფროსები გენერლები თავ. ამირეჯიბი და ზეზემანი; გენერალ-ლეიტენანტი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, კავალერიის გენერალი თავ. ამილახვარი, ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, ვიცე-გუბერნატორი ალშევსკი, კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი სულტან-კრიმგირეი, ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ტფილისის მაზრის თავ. აზ. წინამძღოლი გენერალი საგინაშვილი, ამ ჟამად ტფილისში მყოფნი კავკასიის გუბერნატორები, გენერალმაიორი თავ. ბ. ჩოლოყაშვილი, კამერგერი თავ. ნ. ვ. არგუტინსკი დოლგორუკოვი, ქალაქის მოურავი ევანგულოვი, სპარსეთისა და ოსმალეთის კონსულები, გენერლობა და მრავალი სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი და ხალხი. ქალაქი დღისით დროშებით იყო მორთული, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

✦ 13 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოს შენობაში მოხდა **ტფილისის ნაფიც ვექილთა საერთო კრება**, რომელიც მოწვეული იყო კომისიის წარსული წლის მოქმედების ანგარიშის განსახილველად და კომისიის ახალის წევრების ამოსარჩევად. კრებაზე თავმჯდომარეობდა ნაფიცი ვექილი ა. ბ. სმიტენი. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და მადლობა გამოუცხადა კომისიას სვინიდისიერი მოქმედებისათვის. შემდეგ არჩევნები მოხდა და აირჩიეს კომისიის თავმჯდომარედ ბ. ა. ოპოჩინინი, მის ამხანაგად ს. ვ. ჩემესოვი და წევრებად: ს. ს. მელიქადამოვი, ა. მ. ჭყონია, ნ. ა ქალანთაროვი, ვ. ი. ეგიაზაროვი და რ. ი. კარაბეგოვი. მათ შორის ახლად ამორჩეულია ბ. კარაბეგოვი და დანარჩენები — უწინდელები არიან. წევრების კანდიდატებად ამოარჩიეს: ა. გ. ხატისოვი, ი. ს. ტერ-სტეფანოვი, ლ. ი. შევალიე და ვ. ნ. პახომოვი.

✦ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროში აგვისტოდან დაიწყებს მუშაობას ის კომისია, რომელსაც დაევალა **კლასსიკურ გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების** რეფორმის პროექტის შედგენა.

✦ კვირას, 13 მაისს, ყოვლადუსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ **აკურთხა** ახლად აგებული ვერაზე, ყორღანოვის ქუჩაზე, წმ. იოანე ღვთისმეტყველის **ეკკლესია**. კურთხევას დაესწრნენ: მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე ა ა. ფრეზე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი კ. ბ. იანოვსკი და სხვა **საპატიო პირნი**. თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა 500 მან. ეკკლესიის გამშვენიერებისათვის და 100 მან. ვალის გადასახდელად, რომელიც დაედო ამშენებელ კომიტეტს. გარდა ამისა იქვე იყო შეგროვილი შეწირულება 1000 მანეთამდე.

✦ კვირას, 13 მაისს, ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებელთ თათბირი ჰქონდათ განზრახულ საქალაქო **სასპენსიო კასსის შესახებ**. მასწავლებლებმა გადასწყვიტეს იშუამდგომლონ საბჭოს წინაშე, რომ პენსიის დამსახურების ვადათ 20 წელიწადი იყოს. შუამდგომლობის შესადგენად არჩეულ იქმნა კომისია.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭოს** დღევანდელ სხდომაზე განსახილველად დანიშნულია წასულ სხდომაზე დარჩენილი 9 საქმე. აღნიშნულ საქმეებში არიან ისეთი საქმეებიც, რომელთა განხილვა მოითხოვს არა ნაკლებ 40 ხმოსნის დასწრებას.

✦ დღეს, 15 მაისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს**, რომელზედაც სხვა და სხვა მიმდინარე საქმეების გარდა, განიხილავს კომისიის მიერ შემუშავებულ წესს და პროგრამას კავკასიის გამოფენაზე საოჯახო მრეწველთა კრების გამართვის შესახებ.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემდეგი **საგანგებო დადგენილება** პეტერბურგის ქალაქის უფროსისა: „სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად გამოცემულის დებულების მე-15 და მე-16 მუხლების ძალით პეტერბურგისა და მის მიდამოებში მცხოვრებთ აღკრძალული აქვთ ხანჯლების, კასტეტების და დანების ტარება და აგრეთვე გაყიდვა და ტარება ქვის სასროლ შურდულებისა. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვეველს ადმინისტრატიულის წესით გადახდება ჯარიმა 500 მანეთამდის ან დაპატიმრებულ იქმნება სამ თვემდე.

✦ დ. სამტრედიიდან გვწერენ: პირველ მაისს გვეწვიენ დ. სამტრედიაში ქუთაისის და ტფილისის **ქართველი არტისტები** ბ. ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით. იმავე დღეს დაიწყეს წარმოდგენები; სულ იქმნა წარმოდგენილი 4 პიესა. აქაური საზოგადოება, მოკლებული ამგვარ ესტეტიურ სანახავს, დიდად ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენებს მრმვალი ხალხი ესწრებოდა. სამტრედიელებმა დღეს პირველად იგრძნეს თეატრის საჭიროება და დაიწყეს ლაპარაკი, რომ მომავალისთვის აშენდეს სახალხო სახლი, რომელშიაც იქმნება მოთავსებული სცენა ქართულ წარმოდგენებისათვის. ვისურვებთ, რომ ეს განზრახვა განხორციელებულიყოს.

✦ **სატყეო დეპარტამენტის** დირექტორის განკარგულებით მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულებმა ბ. მედვედევმა გაგზავნა მოხელეს სტარკის მეთაურობით ტოპოგრაფთა პარტია **შავი ზღვის ნაპირა ადგილების** დასათვალიერებლად და კულტურულ ნაწილების გამოსაყოფად.

✦ ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ი. ს. **ალიხანოვი**, თანახმად თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

✦ ტფილისში ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდან საფრანგეთის საელჩოს მოხელე თეირანში **ეიულ მასსალი**, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება სპარსეთში.

გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ წარმომადგენელთა საგანგებო კრება

9 მაისს ამხანაგობის გამგეობის მიერ დანიშნულ მორიგ წლიურ კრებას, რომელსაც ჰქონდა განსახილველად საგნები—განხილვა და დამტკიცება 1900 წლის ანგარიშისა და სხვა, დაესწრო მხოლოდ თოთხმეტი წევრი და გაიხსნა ამხანაგობის მმართველის ჭეიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ბატონი ან. ღლონტი და მდივნად არს. წითლიძე. ამხანაგობის გამგემ ბ. ჭეიშვილმა განაცხადა, რომ კრება, რომელსაც არ დასწრებია წარმომადგენელთა ორი მესამედი, ამხანაგობის წესდების მეთერთმეტე პარაგრაფის თანახმად ვერ ჩაითვლება კანონიერად და საჭიროა კრების ხელმეორედ მოწვევა 13 მაისისათვის. ამის შესახებ სარევიზიო კომისიის წევრებმა ბ.ბ. მ. თუმანიშვილმა, ს. ვაშალომიძემ, ს. ვაშაყმაძემ და მ. ქადიეიშვილმა განაცხადეს, რომ მათ მიერ მოწვეული საგანგებო კრება დღეს იყრის თავს, რადგან პირველ კრებას (25 აპრილის) არ დაესწრო კანონიერი რიცხვი წარმომადგენელთა. ამიტომ ეს მეორეთ მოწვეული კრება წესდების ძალით წარმომადგენელთა რიცხვის სიმცირის მიუხედავად კანონიერად ჩაითვლება. საგანგებო კრებამ მიიღო სარევიზიო კომისიის წევრთა მიერ განცხადებული პროგრამა და დაადგინა: ვინაიდან სარევიზიო კომისიის მიერ ინსტრუქციის მე-18 პარაგრაფის თანახმად მეორედ მოწვეული საგანგებო კრება, წესდების მე-11 პარაგრაფის თანახმად, კანონიერად ითვლება, შეუდგეს იმ კითხვების განხილვას, რომელთა ანგარიშის გაწევას აუცილებლად თხოულობს ამხანაგობის ეხლანდელი მდგომარეობა, ხოლო წლიური კრების მეორედ მოწვევის შესახებ იქონიოს მსჯელობა საგანგებო კრების დასასრულს და მიმართოს ამ საშუალებას მხოლოდ მაშინ, როცა წლიური კრების მეორედ მოწვევას საჭიროდ დაინახავს. ამ დადგენილების შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილი ანგარიში 1900 წლისა და 1901 წლისა ვიდრე პირველ მაისამდე.

სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ მმართ. ს. ჭეიშვილმა განაცხადა, რომ იგი შედეგია **მის** და სარევიზიო კომისიის წევრთა შორის არსებულ განხეთქილებისა რის გამოც იგი სრულებით უარს ჰყოფს ანგარიშის ნაჩვენებ ციფრების სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ ს. ჭეიშვილმა არა ერთხელ მოსთხოვა კომისიას მიეცა მისთვის სარევიზიო კომისიის განაჩენი გასაცნობათ და მისი აზრის წარმოსადგენად კრებისადმი, მას არ აუსრულეს ეს თხოვნა და ეხლა მაინც პატივი დასდოს კრებამ მის თხოვნას და მისცეს რამოდენიმე დღის ვადით ზემოდ ხსე-

ნებული ანგარიში, რომ ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც წამოყენებულია კომისიის მიერ ჰეიშვილის წინააღმდეგ, ჯეროვანი პასუხი გასცეს. ეს თხოვნა კრებამ მიიღო და გამოთქვა თანახმად ისიდორე რამიშვილის წინადადებისა, რომ სარევიზიო კომისია ვერ მოქცეულა სამართლიანად ამ საქმეში და ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მან კრება მმართველის პასუხის უქონლობით და სხვ. და სხვ. შემდეგ სარევიზიო კომისიამ თავის მხრივ მოითხოვა გადაეცეს მას საღამოს კრებამდე მმართველის წლიური ანგარიში, რაც შეწყნარებული იქმნა კრების მიერ. კრება შეწყვეტილი იქმნა იმავე დღის საღამოს 6 საათამდე.

(დასასრული იქნება)

პროვინცია

ს. ძარელი. ისეთ სოფელში, როგორიცაა ქარელი, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა, რომ მცხოვრებთ ერთი ენერგიული მეთაური გამოსჩენოდათ, რადგან ამ სოფელში და მახლობელ სოფლებშიაც ცხოვრობენ მრავალი შეძლებული ოვალ-აზნაურობა. აქ თავ. ციციშვილებს, რომელთაც ეკუთვნის ამ სოფლის უმეტესი ნაწილი და რამდენიმე სხვა სოფელიც, აქვთ საკუთარი კანტორა თავიანთი მამულების მართვა-გამგეობისათვის, რომელიც მინდობილი აქვს რამდენიმე არჩეულ პირს. აი სწორეთ ამ კანტორას. რომელსაც დიდი შემოსავალი აქვს, შეუძლია იკისროს სხვა და სხვა საზოგადო საქმის გაძღოდა და სოფლის საჭიროებათა დაკმაყოფილება. სულ აუცილებელ საჭიროებად ამათ თვის ამ ყამათ ჩვენ, სხვათა შორის, მიგვაჩნია: ექიმის მოწვევა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნა, წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება და სხვა განსაკუთრებით დასაჩქარებელია ექიმის მოწვევა.

ეს დიდი ხანია კარგათ აქვთ შეგნებული ადგილობრივ მცხოვრებთ, რადგან შორიდან ექიმის მოყვანა ძალიან ძვირად დასჯდომიათ და ხანკი უექიმობის გამო უბედურებაც სწვევიათ. ამის გამო აგერ ათიოდე წელიწადია, რაც აქ ექიმის მოწვევაზე დაბარაკი აქვთ; მაგრამ სამწუხაროა, რომ დაბარაკი დღემდე მხოლოთ დაბარაკად რჩება ერთმანეთთან შეუთანხმობის გამო. ახლა მაინც დროა გადაწყდეს ეს საქმე, რადგან, როგორც ნამდვილათ ვიცით, ადგილობრივი ათეთქარი თვისი მხრით 200 მანეთს იღებს წლიურათ ექიმის მოსაწვევად და ეს ხსენებულ კანტორაც დიდათ გაუადვილებს ექიმის შენახვას. იმედი გვაქვს, რომ ეს კანტორა განიხილავს, სხვათა შორის, ამ საქმესაც თავის მომავალ კრებაზე, რომელიც დანიშნული აქვს ამ თვის 16-ისთვის. რაც შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას, მისი დაარსებაც დიდ საჭიროებას შეადგენს აქაურებისთვის (განსაკუთრებით ხსენებულ კანტორისათვის). თუ ამ საკანზე ჯეროვანად არ იზრუნეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, შესაძლებელია ეს დაწესებულება მახლობლათ ახალ რკინის გზის სადგურთან გაიხსნას, რადგან ერთი იქაური მემამულე რამდენიმე წლით უსასყიდლოთ უთმობს ფოსტას სახლს და სხვა ხარჯსაც კისრულობს მისთვის.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქარელში არა ნაკლებ საჭიროა წიგნთ-საცავ-სამკითხველოც. ეგ საჭიროება კარგი ხანია შეიგნეს აქ და მის დასაკმაყოფილებლათ რამდენჯერმე საღამოც გაიმართა, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ერთი ხანია ადარაფერი ისმის ამ საქმის შესახებ და არ ვიცით, რას ფიქრობენ მაზე.

კეთილის მსურველი.

ცაგერი. (დეჩხუმის მაზრა). «ჩემი ავლადიდებაო კურდღელს აეკიდებაო», რომ იტყვიან, სწორედ დ. ცაგერსა და მისს ქონებრივსა და გონებრივს ავლადიდებაზე ითქმის. თუმცა ცაგერი დაბის სახელით მოუხსენებია, მაგრამ ჯერ ის ისე უსუსურია, რომ ერთობ უადრია მის ნათლიებს ასეთის მოზრდილ-მომწიფებულის შესაფერი სახელის დარქმევა. მართალია, რა ეტხია ცაგერს დაბის შესაფერი, გარდა ხუთ-ექვსიოდე მინგრეულ-მონგრეულის და პატრიარქურთ მოწყობილის დუქნისა. დღევანდელი ცაგერი ვერაფრით წინ ვერ სდგას დასავლეთ საქართველოს, მაგ. გურიას, მიგარდნილ სოფლებზედაც კი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ არსებობს უველა საამაზრო დაწესებულება. მაგრამ ამ დაწესებულებათა არსებობა დ. ცაგერში და დღევანდელი მისი ოფლად უფერული და სიცოცხლის ნიშანწყალს მოკლებული მდგომარეობა უფრო საგრძნობლათ ახასიათებს მკვიდრთა დაუდეგრობას და ჩვენებურ-ძველებურობას. სოფლის ან რომელიმე კუთხის წარმატების განვითარების და თანამედროვე ცხოვრების გზაზე გამოსვლის უტეუარი და უფრო ხელ მისაწვდომი საზომი არის ის კულტურული „დაწესებულებანი, რომელნიც წარმოუშობნია ცხოვრებას გონებრივი ან ეკონომიური მოძრაობის სარბიელზე. და აი, როცა ამ მხრივ უტქერი დეჩხუმის და მისს სატახტო დაბა-ცაგერს, სრული უიმედობის მწვავი ბრჭყალები გიბურობთ; ბაბ, რა სანუგეშო უნდა იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ მთელს მაზრას, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 60 ათასამდის ადის, არ გააჩნია ერთი სასწავლებელი, რომელშიაც იმდენათ დამთავრებული სწავლის მიღება შეიძლებოდეს, რომ თანამედროვე გართულებულ-გამწვავებულ არსებობისთვის ბრძოლაში სუსტ იარაღათ მაინც გამოდგეს. დეჩხუმში არ არსებობს არც ერთი სამოქალაქო სასწავლებლის პროგრამის სასწავლებელი და ის პირველ დაწყებითი სასოფლო სკოლები რომლებიც დღეს არსებობენ დეჩხუმში, თავისი ნივთიერი მდგომარეობით და, ამის გამო, მასწავლებლისა «კონტინგენტით» ისე დაბლა სდგანან, რომ ისინი უფრო ბეუტავენ, ვიდრე ანათებენ. უიმედობას ის გარემოება უფრო აძლიერებს, რომ ასეთი დიდი ნაკლი არავითარ უკმაყოფილებას, წუწუნ-ჩივილს და კითხვებს არ იწვევს მკვიდრთა შორის. ამ გვარათ სიბნელე და უმეცრება, სრული მოქალაქობრივის უფლებით აღჭურვილნი, ჯერ კიდევ მკვიდრათ გამაგრებულან თავის ტახტზე. ვინ უნდა ადიმადლოს ხმა ამ ანორმალურის მოვლენის საწინააღმდეგოთ? რასაკვირველია, ინტელიგენციამ. მაგრამ სწორეთ აი აქ არის წაბორძიკების ქვა დეჩხუმის გონებრივი ძალა-ინტელიგენციაა დ. ცაგერში დაბანაკებული. მაგრამ რა? ისიც ჩაბმულა საერთო არარაობასა და ამაოების ფერხულში; გარემოცულ დუარსაბურ განცხრომის, უმარბაზობას და ფეოდალურ ბალიადობას ისიც ჩაუთრევია თავისს მორევში და აქ კამკრალა მისი გონებრივი და ზნეობრივი სახეც. აბა ერთი მიბრძანეთ, რა სახის უნდა იყოს ის ინტელიგენტი, რომელიც არა თუ ხალხის გონებრივსა და ზნეობრივს ამაღლებაზე არ ფიქრობს და შრომობს, არამედ თვით მასშიაც იმდენათ შესუსტებულია სულიერის საზრდოს მოთხოვნილება, რომ მისდა დასაკმაყოფილებლათ წელიწადში ერ გროშსაც ვერ იმეტებს.

ჩვენს დროში ფიზიკურ შრომაში ჩაბმული მიერუებული სოფლის გლეხობაც იმდენათ გამოფხიზლდა, რომ მზათ არის, გარდა იმისა რომ სკოლის ხარჯი იკისროს, თავის ნაშრომიდან შესაფერი წვლილი წიგნთ-საცავსაც გაუწვიდინოს. ცაგერის ინტელიგენციისთვის კი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება ერთნაირი «ადმოსავლეთის კითხვაა». აი, რა და რამდენი გაზეთი მოდის ეხლა მთელს დეჩხუმის მაზრაში. «ივერია»—4, «ნობის ფურცელი»—10, «კვალი»—6, „Нов. Обозр“.—6, „Кавказъ“—2 „Тифл. Лист“.—2 (ეს ცნობები ამოწერილია საფოსტო კანტორის წიგნიდან). უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გაზეთების თითქმის ნახევარი პატარა სვანეთში მიდის, რომელიც დეჩხუმის მაზრას ეკუთვნის. ასე რომ საკუთრად დეჩხუმს ძლიერ ცოტა გაზეთი რჩება და ისიც უმეტესათ სოფლად მიდის, თვით ცაგერი კი მშრალათ რჩება ცაგერელი შემთხვევით თუ სადმე გადაეკარა სხვის მიერ დაკვეთილ გაზეთს, მაშინაც მედიდურის, ბრძნულის კამოძეტუვლებით მხოლოდ თვალს გადაავლებს. მაშ სად ინთქება ცაგერის ინტელიგენტის სიცოცხლეო, იკითხავთ. მოგახსენებთ. კანცელარიის საწერი სტოლი, მწვანე ხავერდით მორთული სათამაშო «კარტით» მოკაზმული მაგიდა და წითელის «ნუნუათი» გაბრწყინებული სუფრა,—აი სამი ასეთი, რომელზე, რომელზედაც სავსებით და ძალვა მოსიდობით იშლება ცაგერელი ინტელიგენტის ფართო ბუნება. ამ ასეთ ადგილზე მას ტოლი არა ჰყავს და მასაც ამითი თავი მოსწონს, ეოეოჩობს .. რაც შეეხება ისეთს კონების ამამაღლებელს და ზნეობის განმასვეტაკებელს კასართობებს, რაგორც წარმოდგენის გამართვა, სალიტერატურო სადამო და სახალხო კითხვა,—ესენი მხოლოდ შორეული მომავლის სამკვიდროს შეადგენენ, ამ ჟამათ კი ცაგერში მათი ხსენებაც არ არის.

ვიცი, ამ მართალი ამბების გაზეთში გამოფენისათვის, ბევრი განრისხდება, მაგრამ რა ვქნა, თუმც „amicus plato, sed magis amica veritas“.

უცნობი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის № 1452-ში, 1 მაისს, დაბეჭდილია დუშეთიდან მოწერილი ამბავი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: «ჯერ აქაურ მომრიგებელ მოსამართლისთვის ადგილის უქმეები არ გათავებულა, ასე რომ დანიშნული საქმეები გასარჩევად 12, 13 და 14 აპრილსა ხელმეორედ იქმნა გადადებული, რადგან ჯერ არ დაბრუნებულა იგი ტფილისიდან». საქმე იმაშია, რომ მაზრის სასამართლოებში საქმეები ჩვეულებრივ ინიშნება გასარჩევად ერთის თვის წინ მაინც, რომ პოლიციამ თავის დროზე მოასწროს დაბარებულთათვის უწყებების ჩაბარება და ჩაბარებული უწყების მეორე პირების სასამართლოშივე დაბრუნება.

ახლა ვიკითხოთ, შესაძლებელია გ ნ ამგვარს გარემოებაში კაცმა, რაც უნდა ბეჯითი და საქმის ერთგული იყოს იგი, ადრეულ გაიგოს და გაითვალისწინოს ყველა ის დაბრკოლებანი, რომლებსაც შეუძლიანთ შემდეგში საქმეების დაბრკოლება?

ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. მე დროებით დათხოვნილი და წასული ვიყავი, ხოლო გამომძიებელი, რომელსაც ოდესის სასამართლოს მოწერილობით 20 მარტიდან, № 867, მინდობილი ჰქონდა ჩემი თანამდებობის აღსრულება, ჩემ დაბრუნებამდე სამსახურის საქმეების გამო იძულებული იყო დუშეთიდან წასულიყო.

ამ გვარად საქმეების გარჩევა 12, 13 და 14-ში არ მოხდა და გადაიდო არც ჩემის მიზეზით და არც გამომძიებლის მიზეზით.

ხსენებულ წერილის ავტორს რომ მოესურვებინა სიმართლის გაგება, სადაც ჩემი ქალაქში ყოფნა შეიტყო, იქვე ადვილად შეეძლო გაეგო, რომ მე ნება-რთვით ვიყავი ქალაქში წასული, ხოლო გამომძიებელი არ იმეოფებოდა დუშეთში სამსახურის საქმეებისა გამო.

დუშეთის მომრიგ. მოსამ. გ. იაკულოვი

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 მაისი.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტი სახელმწიფო საბჭოს წევრის პოლოვცოვის სახელზე 50 წლის სამსახურის შესრულების გამო და უმაღლესი გრამოტა სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის ივაშჩენკოვის სახელზე, რომელსაც ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნები.

კიევი. ბაზარზე ხორბლით ვაჭრობა შესუსტდა. გასაყიდი პური ცოტა ღა დარჩა. კიევის გუბერნიაში კარგ მოსავალს მოელიან.

კაზანი გუბერნატორის და სამზრუნველო კომიტეტის წევრების თანადასწრებით საძირკველი ჩაყარეს სამხატვრო სკოლის შენობისა.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორების და სტუდენტების თანადასწრებით საძირკველი ჩაყარეს სტუდენტების საერთო სადგომისა.

ეკატერინოსლავი. გათავდა არჩევნები საბჭოს ხმოსნებისა. 55 ძველ ხმოსნებიდან ისევ არჩეულ იქმნა მხოლოდ 24; ვაჭრები აირჩიეს 27, უმაღლეს სწავლა მიღებული 21.

ხარკოვი. ალჩევსკის დასაფლავებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო; კუბო შემკული იყო 60 მეტი გვირგვინებით. ... ფინანსო, სამრეწველო და სამთო ... წესებულებათაგან. ... მსახურებდა.

„ხარკოვსკია ვედომოსტი“ იტყობინება, რომ ფინანსთა სამინისტრომ, გამოიკვლია ალჩევსკის საქმეთა მდგომარეობა, გადასწყვიტა იმგვარივე დახმარება აღმოუჩინოს მათ, როგორითაც სარგებლობენ სამხრეთ-რუსეთის სხვა სამრეწველო საქმეები.

გამოვიდა პირველი ნომერი ახალის გაზეთის „ხარკოვსკი ლისტოკ“-ისა.

ლონდონი. „დეილი მელ.“ ს ატყობინებენ პარიზიდან, რომ საფრანგეთი დიდ დახმარებას უჩენს რუსეთის წინადადებას ჩინეთის სესხის შესახებ.

კონსტანტინეპოლი. ადმირალი ბირლიოვი, რომელიც რუსეთში დაბრუნდა სულთანმა მიიღო შჩერბეჩევთან ერთად.

ბერლინი. გრაფი ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან: „რუსეთის კონსულები ცნობებით, ტუნფუსიანი მცირე ჯარი იმყოფება კანსუს პროვინციაში, სადაც მა ... ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს; მხოლოდ ... ტუანი 10 მხლებლით მონგოლიაში გაიქცა, სადაც მშვიდობიანობა ჰსუფევს“.

მადრიდი სენატის არჩევნებში სამინისტრო პარტიამ გაიმარჯვა. არჩეულ იქმნა 120 სენატორი სამინისტრო პარტიიდან და მხოლოდ 30 ოპოზიციიდან.

ლონდონი. გუშინ საუზმეზე, რომელიც ... ჩემბერლენმა გამართა მილნერის პატივსაცემლად, ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დიდი მადლობა გამოუცხადა მილნერს და სთქვა. საქმე, რომელიც დაეკისრება მილნერს სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნების შემდეგ, უფრო საყურადღებო იქმნება ვიდრე წინანდელი. „მ... დარწმუნებული ვარო, დაუმატა ჩემბერლენმა, რომ სამხრეთ-აფრიკა მაშინ დამშვიდდება სრულიად, როდესაც მილნერი შეგ... მოიღებს ახალ წეს-რიგს, რომლის შედეგი იქნება ორივე ტომის შერიგება საერთო ... მოქმედება; ხოლო ეს შერიგება ხელს შეუწყობს გაერთიანებულის, თავისუფალის, აყვავებულის და უქვეშევრდომილესის სამხრეთ-აფრიკის დაარსებას. ისეთსავე გონივრულ საფუძველზე, როგორზედაც დამყარებულ არიან ავსტრალიისა და კანადის ფედერაციები“. საპასუხო სიტყვაში მილნერმა მადლობა გამოუცხადა საპატიო მიღებისათვის და შემდეგ შეეხო იმ საყვედურს, რომელნიც მასზე გამოითქვა ომის დროს. განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მისი პატივისცემა გამოიწვია ინგლისის სურვილმა—დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ თავის მსახურთ არ ივიწყებს, როდესაც მტერი კარზე ადგია. დასასრულ მილნერმა სთქვა: „სასაცილოა ის აზრი, ვითომ შესაძლებელი იყო ომის აცდენა, თუ ინგლისი მეტს მშვიდობის მოყვარეობას გამოიჩენდა; მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როდესაც სამხრეთ-აფრიკაშიაც შეიძლება ლმობიერი პოლიტიკის დამყარებაო“.

ჰავრა აქ მოვიდა ვალდეკ-რუსო. როდესაც ის ნაპირზედ გადმოვიდა, ვიღაც ერნესტ პარფემ, 20 წლისამ, მეპურის ქალგალმა, ნაციონალისტმა, რაღაცა ესროლა. მაგრამ ააცილა. პარფე დაატუსაღეს.

რედაქტორი ... გამომცემელი ...

განცხადებანი

სალდათის ბაზარში გაიღო საუკეთესო ღ... სების და ბევრათ სხვაზე უფრო იაფად

ვაცხაველებული დამშრალი ნახშირი

წონით ფუთი 40 კ. ვისაც ნებავთ გ... მოგზავნონ თავიანთი ადრესი და სახლ... მიუტანთ ჩვენი ხარჯით. მყიდველი ღებულობს კვიტანციას.

6—84—1 დიმიტრი ხუნდაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Мая, 1901 г. სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდ ქუჩა, № 27